№ 33 თებერვალი 14, ოთხშაბათი 1890 თებერვალი 14, ოთხშაბათი № 33

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | [illegible] 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვრ ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 13 თებერვალი

13 თებერვალს სამშაბათს დაასაფლავეს დიმიტრი ბაქრაძე დიდის ყოფითა და ცერემონიითა. დიდ-ძალმა ხალხმა პატივი სცა და მიაცილა იგი უკანასკნელ ბინამდე აქ ჰნახავდით ყველა წოდების ხალხს.

ზოგს, ამ დიდების და გაპატიოსნების მნახველს, როგორც ეტყობოდა, არ ესმოდა რის გამო სცა ამოდენა პატივი ქართულმა საზოგადოებამ, „რა საზოგადო საქმე ჩაიდინაო ისეთი?" ჩვენ გძლად არ გავაბამთ ლაპარაკს და ამ „ზოგთ" აი რას ვეტყვით პასუხად:

„ივერიაში" უკვე ნათქვამია, რომ ვისაც ნამყო არა აქვს, არც აწმყო აქვს, ვისაც აწმყო არა აქვს, იმას არც მომავალი აქვს. იმ კაცმა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელად გამოვესალმენით, მთელი ორმოცი წელიწადი ილვაწა და დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ნამყო გვქონია, აწმყო გვაქვს და მომავალი გვექნება. იმედი ხვალისა მან მოგვმადლა ჩვენ. თვითონ წავიდა და ჩვენ ხელთ მოგვცა მწვანე შტო იმედისა, სასოებისა, რომელიც მან ხეს მეცნიერებისას და ცნობადისას მოჰკვეთა და ნოეს მტრედსავით მოგვიტანა და აგვახარა: ნუღა გეშინისთ წარღვნისაო. სხვაგან ამისთანა კაცის საფლავი სალოცავია მამულისა.

ახლა ხომ ცხადია სად არის სათავე იმისი, რომ დღეს თითქმის მთელი საქართველო მისტირის დ. ბაქრაძეს როგორც საუკუნოდ დადუმებულ მახარობელს ჩვენის იმედისას, ჩვენის სასოებისას.

## ახალი ამბავი

*** წარსულს კვირას, სეზონის დასასრულს ჩვენმა ქართულის დრამატიულ დასის არტისტებმა ორი წარმოდგენა გამართეს—ბენეფისი მ. საფაროვისა და ბენეფისივე ბ-ნთ გუნიასი და სვიმონიძისა. განსაკუთრებით კარგად ჩაიარა ქ-ნ საფაროვის ბენეფისმა, მთელი თეატრი ავსებით სავსე იყო და მობენეფისესაც რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს. წარმოდგენის შემდეგ არტისტი-ქალი სახლამდე შუშხუნებითა და ბენგალის ცეცხლით მიაცილეს. მეორე ბენეფისს, კვირა დილით, შედარებით ნაკლები ხალხი დაესწრო. არტისტებმა ამ წარმოდგენაზედ თვით უფროსს ამხანაგობისას ბ-ნ ვ. აბაშიძეს ერთი გასაშლელი ალბომი და ერთიც თაიგული მიართვეს.

*** გუშინ-წინლამ, 12 თებერვალს, ტფილისში მყოფ ღარიბ საფრანგეთელთათვის ფრანგთა საზოგადოებამ გაჰმართა ბალი. ბალზედ საკმაოდ დიდი საზოგადოება დაესწრო. ამას გარდა ლატარიაც იყო გამართული. ორი დასი უკრავდა მუსიკასა. ბალს სხვადა-სხვა ჯურის ხალხი დაესწრო, დიდი თუ პატარა, ბევრი ისიამოვნა ცეკვა-თამაშით ამ ხალხმა და მხოლოდ დილის 4½ საათზედ დაიშალა.

*** გასული ყველიერი ტფილისის ჯიბგირების დღეობა იყო და მარხვის პირველ დღეს, ყეენობას, აღდგომა გაუთენდათ. ამ დღეს რომელს ქუჩაზედაც ყეენს გაატარებდნენ ზურნითა და ერთის ღრიანცელით, ყველა იმ ქუჩის მცხოვრებნი გამოეფინებიან სეირის დასანახავად. ამ დროს არ ეძინათ, რაღა თქმა უნდა, ჯიბის ოსტატებსაც, მაგალითებრ, ბარონის ქუჩაზედ სასტუმროს ერთს მოსამსახურეს, კარებ წინ, ყეენის ამალათაგანმა ისე ამოაცალა ჯიბიდგან ვერცხლის საათი, ორ თუმნად ღირებული, რომ ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო საათის პატრონმა, სანამ ხალხი არ დაიშალა და ცალიერი ძეწკვი არ შერჩა ხელში.

*** ჯავის ხეობა: თებერვლის პირველ დღეებში აქ ცოტა თბილი დარი დაიჭირა, თოვლი ოდნავ გალხვა და ზვავად წამოვიდა. სოფ. ქელიათში ზვავმა წამოიღო უეცრად ლევან მაყაშვილის სახლი. ერთის პატარა ქალისა და ბიჭის მეტი ყველანი გარეთ იყვნენ. ზვავის გრიალზე ბიჭი და ქალიც გამოქცეულიყვნენ, გამოვარდნილიყვნენ გარედ, მაგრამ ამ ზვავისთვის ველარ გამოესწროთ და ქვეშ მოჰყოლოდნენ. მთელი სოფელი ეცა მაშინვე ზვავსა და დაუწყო თხრა, ბიჭი მალე იპოვეს, მაგრამ ქალი-კი აღარსადა სჩანდა. როცა ყმაწვილი გონზე მოვიდა, ხალხს უთხრა: რომ ისიც მე მომდევდა და აქ ახლო უნდა იყოს სადმეო. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ტყავში შეხვეული პატარა ქალიც იპოვეს ცოცხალი ერთის ხის ძირას. ხალხი გადაურჩა სიკვდილს, მხოლოდ ლევან მაყაშვილი დაზარალდა. ექვსი ხარი დაერჩო, ერთი ცხენი და 22 ცხვარი. დაეკარგა აგრეთვე დიდ-ძალი ქერი, თივა და ავეჯეულობა.

*** იქიდამვე: ამ რამდენისამე დღის წინად გაზ. „ივერიის" ახალ ამბებში გამოცხადებული იყო, რომ ახალ მოდის ავადმყოფობა ინფლუენცია ჯავის ხეობასაც ეწვიაო. აი კიდევ რასა გვწერენ ინფლუენციის შესახებ იქიდამვე: ერთობ შეაწუხა ამ ავადმყოფობამ ჩვენი მთის ოსები. ზოგს ამ ახალი სენით ავადმყოფს ტაბასტა ემართება, ცხვირიდამ წავარდნილს სისხლს ვერა საშუალებით ველარა სწყვეტენ და სნეული რამდენსამე დღეში წუთი-სოფელს ესალმება. ზოგს გულსა და ბეჭებს უჭერს, სულთქმას უხუთავს და საშინელს თავის ტკივილს უტეხავს. ჩვენში არც ექიმია, არც წამალი და არც არავინ გამოცდილი დამრიგებელი. ხალხმა არ იცოდა,

## ფელეტონი

### დიმ. ბაქრაძის შრომა

დიმიტრი ბაქრაძის შრომა იწყება იმ დღიდამ, რაკი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ასრულებს კურსსა 1850 წ. და მომდინარებს თვით სიკვდილის დღემდე. მისი მრავალ ხნის განუწყვეტელი შრომის მოყვარეობა თვისის დაწყებითა სკოლის გამოსვლის დღიდამ სიკვდილამდე სამაგალითოა ახალ მოზარდ თაობისათვის.

რამდენადაც ხელ და ხელ შესაძლოა თვალის გადავლება მისის ნაწერებისა, მოვიხსენოთ ამ მცირე წერილში.

პირველს მისს თხზულებას ვხვდებით რუსულ ენაზე, „Сцены изъ жизни грузинъ" რომელიც დაბეჭდილია, ჟურნალ „Современникъ"-ში პირველ წლებში (ვგონებთ 1848 ანუ 1849 წ.) შემდეგ ხანებში გადაბეჭდილი მოკლედ „Кавказъ"-ში 1850 წ. იმავე გაზეთ „Кавказъ"-ში 1851 წლიდამ 1859 წლამდე თითქმის მუდამ წელს იბეჭდებოდა წვრილი წერილები საქართველოზე, Грузія и грузины, Осетины и георгіанцы, Природа нижней Карталиніи, Месхія или Ахалцихскій уѣздъ, Горис-цихе, Кольхида или Лазика и борьба персовъ съ Византійцами, Очерки Менгреліи, Самурзакано и Абхазіи და რუსულ კალენდარში (Кавказск. Календарь за 1858 г.) – Источники грузинской исторій.

პირველ ნაწერს ქართულ ენაზე ვხედავთ ჟურნალ „ცისკარში" 1861 წელს. ქალის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში; 1862 წ. იქვე დაიბეჭდა ბაგრატ მეოთხე და წინასიტყვაობა ბატონიშვილის იოანეს „კალმასობისა", რომელიც იბეჭდებოდა მოხსენებულ ჟურნალში და მერე ცალკე წიგნადაც გამოვიდა 1863 წ. ამ ჟამადვე იგი დანიშნულ იქნა ინსპექტორად მართლ-მადიდებელ აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა და მუდამ ტფილისში ცხოვრებით უფრო ღონისძიება ჰქონდა სალიტერატურო ასპარეზზე ემუშავა. იმავე წელს მისის და ნიკოლოოზ ბესარიონის ძის ღოღობერიძის რედაქტორობით დაიბეჭდა რუსულად და ქართულად სახარება მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. 1864 წელს მოიარა სვანეთი და ხევსურეთი და აღწერა დაბეჭდა აქაურ გეოგრაფიულ საზოგადოების „Записки-ში". 1864 წ. ამ ნაწერებში პირველად შეეხო არქეოლოგიურ ნაშთებსა, რომელთაც შემდეგ მთელი თავის სიცოცხლეში თანდათან იკვლევდა და საქართველოს საისტორიო მასალებს ამზადებდა.

1864 წელს ტფილისში სურვილი იყო ქართული ახალი ჟურნალი ანუ გაზეთი დაარსებულიყო და ქართულ სტამბის გამართვას საჭიროებად სცნობდნენ. იმ დროინდელ ორის თუ სამი სტამბის ვითარება ისეთი იყო, რომ ვაი-ვაგლახი იყო წიგნის დაბეჭდვა. იმ ხანებში ქართულ სტამბას მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გაზეთ „დროების" დაარსებაზედ და ქართული წიგნების გამოცემათა მოხშირებაზე კიდეც იქონია ზედ-მოქმედება იმ სტამბის გამართვამ, რომელიც განსვენებული სტეფანე მელიქიშვილს და ამხანაგობას ეკუთვნოდა. ამ ამხანაგობაში იყო ღოღობერიძე და ვახტანგ თულაევი და იმათში დიმიტრი ბაქრაძე. იმისი გულითადი მონაწილეობა ამ საქმეში სხვათათვისაც წამქეზებელი იყო. 1866 წლიდამ „დროებაც" დაარსდა და წიგნების ბეჭდვაც გახშირდა, ისე რომ წინად მთელის წლის უწიგნობის ნაცვლად, წელიწადში თითო-ოროლა წიგნი მაინც გამოდიოდა, რადგანაც სტამბა შეღავათს და ღონისძიებას აძლევდა გამომცემელსა. ამ საგანზე შევდექით იმის გამო, რომ ამ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ მწიგნობრობის საქმის და საკუთრად სტამბა-ბეჭდვის წინ წაყვანაზე.

დავუბრუნდეთ ბაქრაძის სალიტერატურო ღვაწლს. 1866, 1867 წლებში თანამშრომლობდა „დროებას", რომელშიაც დაბეჭდა წერილები: ინგილოებზე, საათაბაგოზე და სამეგრელოზე. 1869—1870 წლებში „დროებაში" და ცალკე წიგნად 1870 დაიბეჭდა მისი ვრცელი შრომა „საქართველო", რომელიც დასაწყისად ჰქონდა განზრახული საქართველოს ისტორიისათვის (შემდეგ გევმა შესცვალა). 1870 წელს ბერენშტამმა გამოსცა რუსულად: Тифлисъ въ историческомъ и этнографическомъ отношеніхъ. ისტორიული აღწერა ბაქრაძესი იყო და მეორე ნაწილი განსვენებულის ნიკოლოზ ბერძენოვისა.

ამ ხანებში ყურადღება მიიპყრა თვისის შრომით განსვენებულის აკადემიკოსის ბროსსესი, რომელმაც მასთან მიწერ-მოწერა გააჩშირა. იმ ხანებში ვრცელი ნაწერი მისი იყო Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, რომელიც დაბეჭდილი იყო კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის აქტებში. ამ შრომისათვის მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებისაგან პირველი ხარისხის ოქროს მედალი ებოძა. იმავე წლებში საიმპერატორო აკადემიამ პეტერბურგში მიიწვია წევრად კორრესპონდენტათ და ბროსსეს შუამავლობით წინადადება მისცა ისტორიულის და არქეოლოგიურის აღწერისათვის მოევლო ოსმალოს საქართველო. ეს შეკვეთილი საქმე დიდის ხნის სურვილი იყო ბაქრაძესი, რადგანაც სარუსეთოს საქართველოში კუთხე არ დარჩენოდა უნახველი.

ამავე 1873 წელს მოიარა აჭარაქობულეთი, გურია და შემდეგ 1878 წელს დაბეჭდა აკადემიის წერილებში და აგრეთვე ცალკედ: Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ, ოსმალოს საქართველოს ქარტითა და მხატვრობებითა.

იმავე ხანებში მისი შრომა არ შეჩერებულა ქართულ ჟურნალ გაზეთებში დროებაში, მნათობში და ივერიაში (ჟურნალშიაც და გაზეთშიაც). მისი ნაწერები შეეხებოდა ისტორიას და ძველ მწიგნობრობას. სწერდა ანუ წვრილ - წვრილ მონოგრაფიებსავით, ანუ როგორც მწყობრს ისტორიას საქართველოს პირველ დროებისას. საქართველოს ისტორიის წერის განზრახვას დაუბრუნდა ერთხელ კიდევ „დროებაში" თუ არ ვცდებით 1882 წ. მაგრამ შეძგა. დრო-გამოშვებით ამასთან სწერდა ზოგიერთ საჩენ მოვლენაზე ძველ მწიგნობრობის შესახებ (მაგალითად პატკანოვთან პოლემიკა ქართლის ცხოვრების წარმოებაზე, ძველის VII საუკუნის ქართულ სახარების ვარიანტზე).

უკანასკნელ ომის შემდეგ 1878 წლიდამ, როგორც გვახსოვს, სამ წელიწადს მცირე რამ დაუბეჭდია-რა, რადგანაც განსვენებული ბათუმში სცხოვრებდა და თავმჯდომარე იყო ბათუმის მხრის ადგილ-მამულის კომისიისა, რომელსაც ცნობაში უნდა მოეყვანა ადგილ-მამულის ვითარება. მაგრამ ამ ხანებში მოიარა ხელ-მეორედ მთელი ახლად დაჭერილი მაზრები საქართველოსი და სომხეთისა და მრავალი ძველი ნაშთები ნახა და შეკრებილი მასალა შეავსო ახალის ცნობებითა. საზოგადოდ რომ ვთქვათ, განსვენებული დიმიტრი მუდამ სწავლობდა და რასაც-კი თვალს მოჰკრავდა გაფაციცებით ყურადღებას აქცევდა და შესწავლას არ ზარობდა. ნიადაგ შრომის მოყვარეობა ორ გვარად ავარჯიშებდა ამ თვისებასა, თანდათან წინ მიჰყავდა; ერთი ვარჯიში იყო ევროპიელ მსწავლულ ისტორიკოსების და არქეოლოგების შესწავლა, რომელსაც დიდის გულ-მოდგინებით მისდევ-

როგორ მოჰქცეოდა ამ ავადმყოფობას და ამიტომაც იმსხვერპლა სენმა ხალხი. სოფ. ედის, მაგალითებრ, ერთის თვის განმავლობაში გარდაიცვალა 20—30 ადამიანი. სოფ. ჯომალაში—6 და სხვა სოფლებში კიდევ ღმერთმა იცის რამდენი მსხვერპლი შეიწირა. გვატყობინებენ აგრეთვე ცხინვალ ზემოდ მდებარე სოფ. ქემერტიდამ, რომ ამ ერთს თვეში გარდაიცვალა აქ ჩვიდმეტი ადამიანი, ამათში ხუთნი პატარა ყმაწვილი იყო და დანარჩენი დიდრონებიო.

** თებერვლის 12 ღამით პოლიციის მეორე ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, მდივანის სახლთან, იპოვნეს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

** ამავე დღეს, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ნუხის მცხოვრებლის მელიქ-სარქისოვის სადგურიდამ მოიპარეს 150 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ავეჯი. ქურდი ნუხისავე მცხოვრებელი ტატოს გევორქოვი შეიპყრო პოლიციამ და ნაქურდალიც წაართვა.

** თებერვლის 12, ღამით, პოლიციის პირველს ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე, საკუთარს სადგომში ტფილისის მცხოვრებელმა ბარის სპირიდონის ძემ ტიმოფეევმა განიზრახა თავის მოკვლა და დალია წყალში გახსნილი ბანგი. ტიმოფეევი გაგზავნეს სამკურნალოში მოსარჩენად.

*** ამავე დღეს პოლიციის მეხუთე ნაწილში, ღამით, ძველ პოლიციის ქუჩაზე, მეორე გილდის ვაჭრის აკოფა არუთინოვს დუქანი გაუტეხეს: სპარსეთის ქვეშევრდომმა ყული ალი-ოღლიმ, მეხტი-ნაგრუზ-ოღლიმ-ასან-მაშად-კასუმ ოღლიმა და ეიდარ ალი-ოღლიმ და გაიტანეს სამანუფაქტურო საქონელი 373 მანეთად ღირებული, მაგრამ მეექვსე ნაწილის პოლიციელმა მოასწრო, შეიპყრო და ნაქურდალიც წაართვა.

## დ. ზ. ბაქრაძის დასაფლავება

გუშინ, 13 თებერვალს, დილის 10 საათზედ გამოასვენეს თავის სახლიდამ გვამი გარდაცვალებულის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძისა და წაასვენეს დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. ხალხი დიდ-ძალი შეიკრიბა მიცვალებულის სახლის წინ. მრავალნი პატივისმცემელნი მიცვალებულისა ჩამოსულიყვნენ დაბა სოფლებიდამ უკანასკნელის სალამის მისაცემად და მიცვალებულის გასაპატიოსნებლად. დაესწრნენ დეპუტაციები ქუთაისიდამ, გორისა, ფოთისა, თელავისა და სხვა ჩვენის ქალაქებისაგან. იყვნენ აგრეთვე დეპუტაციები სხვა-და-სხვა ქართველთა დაწესებულებათაგან. მიცვალებულის პატივმცემელთა შორის იყვნენ წარჩინებულნი და ხარისხოვანნი ქართველნი: კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თ. ზაქარია ჭავჭავაძე გენერალ-ლეიტენანტი თ. ივანე ამილახვარი, გენერალ-მაიორი თ. მიხეილ ამირაჯიბი, გენერალ-მაიორი თ. ივანე ჭავჭავაძე, ტფილისის მაზრის მარშალი კამერგერი თ. ლუარსაბ მაღალაშვილი, გორის მაზრის მარშალი ბ-ნი ი. სულხანიშვილი, თელავის მაზრის მარშლის კანდიდატი თ. ზაქარია ვახვახიშვილი, ბევრი თავადი და აზნაური, განგებ ჩამოსულნი, რათა უკანასკნელი პატივისცემა გამოუცხადონ განსვენებულსა. კუბო განსვენებულისა მრავალის მჭირფასისა და შვენიერად მორთულის გვირგვინით იყო შემკული. გვირგვინები გამოეგზავნათ მიცვალებულის კუბოს შესამკობლად სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა გარდა კერძო კაცებისაც. თუ არ მეტი, 50-მდე გვირგვინი მაინც ამკობდა საკაცეს, რომლითაც მიასვენებდნენ მიცვალებულის კუბოს. ორკესტრი სამგლოვიარო საგალობელს უკრავდა. ორი ხორო მგალობელთა, ხორო ბ-ნ აღნიაშვილისა და სასულიერო სემინარიის შეგირდებისა, ამბობდა „წმინდაო ღმერთოს". კუბოს გარშემო ამართულნი იყვნენ დროშანი ტფილისის ამქართა. აი სამგლოვიარო პროცესიამ ნიკოლოზის ქუჩიდამ შეუხვია მიხეილის დიდსა და ფართო ქუჩაზე. აქამდე შეჯგუფული ხალხი გაიშალა თითქმის ნახევარ ვერსის მანძილზე და დიდის სიმშვიდით და წესიერებით მიაღწია მუშტაიდს. იქ ფოტოგრაფმა ბ-ნმა ა. როინაშვილმა გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვა დაიწყო $11\frac{1}{2}$ საათზედ. მწირველი ბძანდებოდა ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე სამღვდელოთა კრებულითურთ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მთავარ-დიაკონმა კარგარეთელმა წაიკითხა სახარება. ჩვენ დიდი ხანია იმისთანა მშვენიერი ქართული კითხვა ჩვენთა სამღვდელოთაგან არ გაგვიგონია: დიდი და პატარა გაკვირვებით ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ძლივს არ გავიგონეთ მშვენიერად, ჩვენებურად წაკითხული სახარებაო!..

წირვის დასასრულს წარმოსთქვა სიტყვა მღ. ს. შოშიაშვილმა, ანდერძის აგების შემდეგ სთქვა სიტყვა ბერ-მონაზონმა მამა ლეონიდმა. ანდერძი აუგო განსვენებულს საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, რომ დიდუბის ეკკლესიის კარ-წინ ორ-პირად დამწკრივდა ხალხი გვირგვინებით და მიცვალებული საფლავამდე მიასვენეს და ლოცვა წაუკითხეს. აქ ბ-ნმა გიორგი წერეთელმა წარმოსთქვა სიტყვა განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აქვე აკაკიმ სთქვა ლექსი მიცვალებულის სახსოვრად და დასასრულ სიტყვავე სთქვა თ. ნ. დადიანმა. ლექსი აკაკისა და სიტყვა გიორგი წერეთლისა ამავე ნომერში იბეჭდება.

სიტყვა, თქმული ბ-ნ გიორგი წერეთლის მიერ განსვენებულ დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის დასაფლავებაზე:

ძმაო დიმიტრი!

დღეს მრავალნი შენნი ღრმათ პატივისმცემელნი დასავლეთ საქართველოში მწუხარების ცრემლს ღვრიან შენის ცხედრის წინაშე. იმათ თავზარი დასცა შენის ნაყოფიერის შრომის უეცრად შეწყვეტამ. მათ კარგათ იციან, რომ ჩვენთა წინაპართა დიდებული წარსული შენამდის ბნელით იყო მოცული. პირველად შენმა მეცნიერულმა კვლევამ განფანტა ეს წყვდიადი და ნათლად დაგვანახა უძველესის დროიდან მათი გონებითი წარმატება. თურმე როცა სხვეგან თქმულნი ძველნი ბერძენნი და რომაელნი ჯერ კიდევ ველურის ცხოვრებიდგან არ გამოსულიყვნენ, ჩვენთა წინაპართა:— ხალიბთა და თობელთა—თავისი მშვენიერი ფოლადისა და ბრინჯაოს ნაწარმოები ტირში და ბაბილონში გაჰქონდათ გასასყიდათ. კოლხების ნაკეთების ტურფა სამოსლით ასურელთა და ისრაილთა მეფენი იმოსებოდნენ. კოლხების სელის ტურფა ქსოვილები ეგვიპტელების ნაწარმოებს უდრიდნენ, მაშინდელი ჯერ კიდევ გონება გაუხსნელი საბერძნეთის ხალხი შურის თვალით თურმე უყურებდა კოლხიდის მეფის აეტის სიმდიდრეს. ფრიქსი და იაზონი, როგორც ზღვის მეკობრები, ისე მოდიოდნენ კოლხიდაში ოქროს ქსოვილებისა და ოქროს მატყლოვანის სამოსლების მოსატაცებლად, როგორც მაგალითად დღეს ველურნი ქურთნი სცარცვენ ინგლისელების საქონლით დატვირთულს ქარავანსა მცირე აზიაში. პირველად შენ გააცანი შენთა მემამულეთა, რომ მათნი წინაპარნი სახელოვანად იბრძოდნენ უძლიერეს მაშინდელს სახელმწიფოებთან. თურმე ბევრს ცდილან ეგვიპტის ფარაონი რამზესი, ასურეთისა და ბაბილონის მბრძანებელნი, მაგრამ მოსხოთა, ხალიბთა და ტბელართა დამორჩილება მაინც ვერ შესძლებიათ. თურმე ალექსანდრე მაკედონელს, ქვეყნის დამპყრობს რომ მოინდომა, მოსხებმა, იბერიელებმა და ალბანელებმა ჩაუდგეს მტკიცე ზღუდე მხნეობისა და ამ საზღვარს აქეთკენ ფეხი ვეღარ მოიკიდა, ვეღარც მახვილი გაჰპართა ჩვენში, როგორც სხვა ქვეყნებში ჩვეული იყო.

დიდებული რომის გმირი პომპეუსი მთის ნაკადულსავით შემოვარდა კოლხიდაში; მაგრამ იბერიელებისა და კოლხელების შიშმა მსწრაფლადვე უკან მიაქცია. შენის აზრით მან მთელის აღმოსავლეთის ქვეყანა გაჰხადა რომის პროვინციად; მხოლოდ მან ვერ შესძლო კოლხიდისა და ივერიის პროვინციად გახდომა. ამაში შენ გვმოწმებიან თვით პომპეუსის დროის მწერალნიცა.

ამ გვარის მეცნიერულის გამოძიებით დღეს ჩვენ:—იმერთა, კოლხთა, სვანთა, მესხთა, თორელთა და კლარჯთა შთამომავლობას, გულში აღგვიძრე იმედი მომავლის აღორძინებისა. შენ მაინც განსაკუთრებით საყვარელი მწერალი იყავი დასავლეთის ქართველებისათვის. თვით შენს მკვირცხლს გონებას, მოძრავს ბუნებას და დაუცხრომლობას სამეცნიერო ასპარეზზე რაღაც უფრო ნათესავური კავშირი ჰქონდა იმერთა ბუნებრივს აგებულებასთან. იქნება ამიტომაც უფრო განსაკუთრებოდით და განათესავებოდით. დიდი ხნიდან მოწყვეტილს ჩვენზე აჭარლებს და ქობულეთლებს ამ დღევანდელს შთამომავლობას კარდუხნებისა და ლაზებისას—შენ არ იყავი, რომ მივიწყებული ნათესაობრივი გრძნობა გაუღვიძე? განა შენ მიერ დამსახურებული ღვაწლი, როგორც საქართველოს მესტორიესი, არ იყო მიზეზი, რომ კონსტანტინოპოლში ამ ძველს ბიზანტიაში სიყვარულით მივიდეს ჩვენმა ძმებმა სომხებმა და აღტაცებით მიეგებნენ ქართველთ აღორძინების იმედს?..

საქართველოს ისტორიის კვლევაში კრიტიკული მეტოდი შენამდისაც უხმარიათ; მაგრამ ამ კვლევაში შენ ტოლი არ გყოლია. ბევრი რამ ახალი გვითხარი, ბევრი ნუგეში ჩაგვინერგე მწირს გულში, ბევრი კარგი რამ გაგვაგონე, რომელიც სხვისგან არ მოგვისმენია. უფრო ამიტომ ვართ გულ დაწყვეტილი, რომ უწყალო სიკვდილმა არ დაგაცალა ბოლომდის გაგეტანა ეგ სახელოვანი სურვილი. ჩვენ დღეს ამას უფრო გსტი-

---

და, რადგანაც გრძნობდა, რომ სასულიერო აკადემიას იმისთვის საჭირო მომზადება არ მიეცა. მეორე იმისი ვარჯისი საზოგადოდ სამშობლო ისტორიის მასალის შესწავლა იყო, (უნდა ვთქვათ რომ ბროსეს შეცდომები ბევრი შეუსწორა, მაგალითად ზედ წარწერები ეკკლესიების) და საკუთრად-კი საეკკლესიო ძველი წიგნებისა, ნაშთებისა, შენობისა, მხატვრობისა და ნივთებისა.

ამიტომ ამისთანა იმისმა ცოდნამ ყურადღება მიიპყრა 1881 წ. ტფილისის საარქეოლოგიო კონგრესმა (კრებამ), რომელზედაც დაესწრნენ გამოჩენილი ევროპის და რუსეთის მსწავლულნი. როგორც ყოველ ოფიციალურ კრებაზე წაკითხულ წერილებს და წარმოთქმულ სიტყვას არა აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც უბრალო შინაურულად ლაპარაკს საძიებელ საგანზე, ამ კრებაზედაც ბაქრაძის ცნობას და შეძენილ ცოდნასაც საქართველოს ძველეურობისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შორიდამ მოსულ წევრთათვის. მაინც-კი იმის წაკითხულმა რეფერატმა ყურადღება მიიპყრა და შარშან-წინ 1887 წელს დაიბეჭდა წიგნში, რომელსაც ეწოდება: Труды V Археологическаго съѣзда, კონგრესზე სხვა-და-სხვათა წაკითხულ შრომათა შორის. სამწუხაროდ კონგრესსის დროს გელათში რომ მიდიოდნენ წევრნი, ბაქრაძეს გორში ცუდი შემთხვევა მოუხდა რკინის გზაზე, კინაღამ მატარებელს ქვეშ მოჰყვა. გადარჩა, თუმცა ორიოდე თვე ლოგინში იწვა. გელათის დათვალიერებაში ყველა წევრი გრძნობდა, რომ უბაქრაძეო თითქმის ამაო იყო კონგრესსის იქ მისვლა. მთელმა რვა წელიწადმა გაიარა, რომ მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორის და უმაღლესის მისის სახლობის დათვალიერებამ ყურადღება მიაქცევინა, რომ ერთი წევრი იმ კონგრესისა გასულ 1889 წლის ზაფხულს მოსულ იყო და დიმიტრის დახმარებით აეწერა ძველი საისტორიო საუნჯე.

1879—1880 წ. დაიბეჭდა Протоколы-ში подготовительнаго комитета V археологическаго съѣзда—ორი წერილი: О грузинск. надписяхъ; О гуджарѣ груз-имерет. синодальной конторы. 1882 წ. აქაურ გეოგრაფ. საზოგადოების Извѣстія-ში VIII ტომის I ნაწილში Историческо-этнографич. очеркъ Карсской области.

განსვენებულის უკანასკნელ წლების შრომანი დიდის მნიშვნელობისანი არიან. ზემოხსენებული რეფერატი, სახელდობრ: Три варіанта грузинск. Четверо-евангелія и Палеографическая таблица. ტფილისს შემდგარის საზოგადოების გამოცემა „Извѣстія Кавказск. Общества Исторіи и Археологіи გამოვიდა ორ წიგნად ბაქრაძის და ვეიდენბაუმის რედაქტორობით. I წიგნში 1882 წ. იყო ბაქრაძის ორი ნაწერი: Объ источникахъ и характерѣ первоначальныхъ преданій Картлис-цховреба და объ отношеніи Арменіи и Грузіи къ Византіи II წიგნში 1884 წელს: О вновь найденномъ отрывкѣ изъ исторіи грузіи Вахушта. 1884 წ. ჟურნალ „ივერიაში" დაიბეჭდა „პროფ. პატკანოვი და ქართლის ცხოვრების წყაროები."

1885 წ. დაიბეჭდა გიორგი ქართველიშვილის მიერ ბაქრაძის რედაქტორობით „ქართლის ცხოვრება ვახუშტისა", I ნაწილი და 1887 წელს ფრენკელის მიერ რუსულად Сборникъ законовъ царя Вахтанга VI. ამ ორსავე შრომას გაუკეთა მრავალი შესანიშნავი სხოლიოები, რომელნიც ხსნიან მრავალს ბნელს და გამოურკვეველ საგანსა. იმავე 1887 წ. იმპერატორის სამეცნიერო აკადემიის IV ტომის დამატებაში დაბეჭდილია: 1) Гдѣ и кѣмъ положено основаніе систематическому изученію письмен. памятниковъ Грузіи, 2) Вновь найденный варіантъ древней грузинск. хроники, 3) Сигель XVI вѣка, 4) Грузинск. древности, полученныя для разсмотрѣнія изъ академіи наукъ. უკანასკნელი იმისი შრომა სულ ახლად 1889 წ. გამოცემული «საქართველოს ისტორია», რომელსაც ჯერ ჯეროვნით მცოდნე გამრჩევი ვერ ამოსჩენია.

განსვენებულის ნაბეჭდ თხზულებათა ანუსხვას უნდა დავრთოთ, რომ შესაძლოა ხელად ჩამოთვლის დროს რომელიმე მისი ნაწერი არ მოგვეხსენებინოს. ამას კი ვიტყვით, რომ მის ნაშრომთა მოძებნა არ გაუჭირდება მსურველსა, რადგანაც ბაქრაძეს ჩვეულებად ჰქონდა ყოველთვის ქართულ ნაწერისთვისაც და რუსულისთვისაც სრული თავისი გვარი მოეწერა.

ერთი უგულითადესი და ძლიერი მისი ნატვრა იყო განსაკუთრებით საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის საისტორიო მასალების საფუძვლიანის შესწავლისათვის ისეთის დაწესებულების დაარსება, რომ იქ იკრიფებოდეს ჩვენის მხრის ყოველ გვარი ნაშთი. ამ განზრახვით იგი ეხმარებოდა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს და არა მცირედი სამწიგნობრო საუნჯე მოუპოვა ამ წიგნთსაცავს თავისის პირად მეცადინეობით ანუ თავისის სახელით, რომელსაც ძვირფასი ნდობა ჰქონდა მოპოებული ქართველობაში და საზოგადოდ კავკასიაში, ამავე განზრახვით იგი დიდის სიხარულით მიეგება საქართველოს ეგზარხოსების პავლესა და პალლადის წინადადებასა, რომ შეედგინა წესდება საეკკლესიო მუზეუმისა სიონის სობოროსთან, წესდება დამტკიცდა, მუზეუმის შენობა აგებულ იქმნა სიონის გალავანში, შესდგა კომიტეტი ამ მუზეუმისა, რომელშიაც აგერ გროვდება ძველი ნივთეულობა და საუკუნოდ უნდა დაცულ იქმნას დროთა შემუსრვისა და განხრწნისაგან. ეს ნატვრა ამისრულდაო იტყოდა განსვენებული, „მაგრამ ეს მარტო დაწყებაა საქმისა; აი როცა სულ შეგროვდება ეს აუარებელი საუნჯე, როცა შეგროვების შემდეგ დაწერილებით გამოიკვლევა, როცა ეს გამოკვლევა დაიბეჭდება, აი მაშინ შეგვიძლია ვსთქვათ, საქმე გავაკეთეთო. ძიახ ჯერ დაწყებაა საქმისა".

მაგრამ ჩვენ აქ ბაქრაძის შრომის დაფასება არა გვაქვს განზრახული. მხოლოდ გვინდოდა უბრალო სია აგვენუსხა მისის სალიტერატურო თუ საისტორიო მნიშვნელოვანი შრომისა რაც-კი შემუშავებული და დაბეჭდილი არის. ჩვენ ვიცით ამას გარდა, რომ განსვენებულს მრავალი შენიშვნები, ნახაზები, გადმონაწერები ან ცალკე ანუ თავის ბიბლიოთეკის ძველ ხელნაწერ და დაბეჭდილ წიგნებში აქვს, რომელთაც ძვირფასის შემოწმებულის, შესწორებულის ფაქტების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიმიტრი ბაქრაძის ახლო მყოფნი, განხილვის შემდეგ, განუზიარებენ ქართველ საზოგადოებას განსვენებულის შეკრებილის მასალების ვითარებასა.

განისვენა მოუსვენარმა, მოუღალავმა შრომის მოყვარემა, ამ დროის ერთად ერთმა უკეთესმა მცოდნემ ჩვენის ისტორიის მასალებისამ; განისვენა და თვის გვერდით ვერც მან ნახა და ვერც ჩვენა ვხედავთ მის თანასწორე მცოდნესა. მხოლოდ უკანასკნელ დროს აღძრულმა ისტორიის ცნობის მოყვარეობამ მოუყვანა ახალნი მოსწავლენი. ვისურვოთ რომ საისტორიო მასალათ შეკრების და შემუშავების ასპარეზი დიდხანს არ დარჩეს ბაქრაძის შემდეგ ობლად და ცარიელი დილეტანტების და უმეცარ მომეცნიერეთა ამარას.

პ. უ.

11 თებერვალს

რით, რომ ბევრი რამ დარჩა გამოუკვლეველი და ჯერ ვერც არავის ვხედავთ, რომ შენ მაგიერობა გაგვიწიოს ამ საქმეში.

დღეს რომ კიდეც გამოჩნდეს ვინმე დიდი ნიჭით შემკობილი ისტორიკოსი, მისი შრომა მაინც უქმად დარჩება, რადგან მას ჯერ კიდევ მტკიცე ისტორიის ნიადაგი არა აქვს გონების თვალ-წინ. შენ ერთი იყავი, რომელიც გვიმზადებდი ამ ნიადაგს: მაგრამ ვაი, რა ვუთხრა იმ უწყალო შემთხვევას, რომელმაც უდროოთ ხელი აგვალებინა ამისთანა ნაყოფიერს შრომაზე... ნუ თუ საქართველოს ამ მხრითაც უსუსტა ბედი? ნუ თუ აქაც ხვედრათ გვიწერია უნუგეშობა?..

ბრალი ჩვენ, თორემ შენ, წარჩინებულო საქართველოს მუშაკო, იმითაც უკვდავი ხარ, რაც ღვაწლი დღემდის მიგიძღვის სამშობლოსადმი. საუკუნო იყოს შენი ხსენება.

---

მას შემდეგ აკაკიმ წარმოსთქვა შემდეგი ლექსი:

### სახსოვარი

სამაგალითო შრომასთან ცოდნა
და სიყვარულით ავსილი გული...
აი, ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად
მინიჭებული!.. შეთვისებული!..

—

დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,
გულზე დაეჭდო მშრომელი ხელი.
წარსულ სიბნელის ნათლის მომფენელს
ამიერიდგან დაჰფარავს ბნელი.

—

მაგრამ დაჰფარავს მარტო მხოლოდ გვამს
და სახელი-კი, შვილთა დიდება,
ნათლის სხივებით გაბრწყინვებული
ბნელს სამარეში თან არ ჩაჰყვება.

—

ის აქ დარჩება საშვილი-შვილოდ,
ვით რჯული ჩვენთვის... ვით წმინდა მცნება
და ყველას გულზე დაგვებეჭდება
სამარადისოდ მაგის ხსენება.

—

მშვიდობით, ძმაო! ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი!..
შენს ნაყოფიერს წარსულს და აწმყოს
მეგლად დაგიდგამს თვით მომავალი.

—

მეგლი იქნება გრძნობა-გონების
და არა ხელით ზე ამართული;
ზედ ეწერება: „კიდევ დიმიტრი...
ესეც ქვეყნისთვის თავ-დადებული!“

---

### სასამართლოს მატიანე

(ყალბის ფულის მჭრელები)

თითქმის მთელმა ყველიერის კვირამ ისე გაიარა, რომ დღე-და-ღამ ოლქის სასამართლოს დარბაზი სავსე იყო მაყურებლებითა და ბჭობა არ შეწყვეტილა. მეტად საყურადღებო საქმე ირჩეოდა. საბრალდებულო სკამზედ თორმეტი კაცი და ერთი ქალი იჯდა. დამნაშავენი ორი თათრის გარდა, სულ სომხები იყვნენ და მათ შორის ორი მღვდელი, ერთი მთავარი და ერთი კიდევ ეკკლესიის დარაჯი. ბრალდებოდათ ყალბი ფულის მოჭრა.

1886 წელს ოსმალეთის კონსულს ჰუსეინ-ჰასიბ ბეის ამბავი მიუტანეს ქ. ტფილისში ყალბ ოსმალურს ფულს მეჯიდიეს სჭრიანო. კონსულმა საქმეს მაგრად მოჰკიდა ხელი. ჯაშუშად აიყვანა ოსმალეთის ქვეშევრდომი თომა ტერ-ზაქაროვი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მეფურნე მელქო დურმაშევმა ყალბი ფული, მეჯიდიე მიჰყიდა იმის ნათესავს. თვითონ დურმიშევს ყალბი ფული ეყიდა გასპარ ოჰანეზოვისაგან, რომელიც მოსულიყო ტფილისში ოსმალეთიდამ 1881 წელსა, აქ ნაცნობები გაიჩინა და მათ შორის კარაპეტ კირაკოზოვი. სწორედ ამ ოჰანეზოვს და კირაკოზოვს შეუჩინა კონსულმა თავისი ჯაშუში და დაავალა ისე მოახერხე, რომ პოლიცია თავს დაგესხას, როცა შენ ყალბს ფულებს მოგცემენო. ეს საქმე კიდევ ტფილისის პოლიცმეისტერმა მიანდო ერთს საუკეთესო და გამჭრიახს პოლიციის ბოქაულს, ბ-ნს სვიმონოვს. სვიმონოვმა ისე მოახდინა, რომ ზედ მიასწრო, როცა კირაკოზოვს და ოჰანეზოვს უნდა მიეყიდნათ ყალბი ფული ტერ-ზაქაროვისათვის. რასაკვირველია, ბოქაულმა დამნაშავენი დაიჭირა. ერთი მათგანი, სახელდობრ გასპარ ოჰანეზოვი, მალე გამოტყდა, დაწვრილებით აღიარა თავისი დანაშაულობა და გასცა ყველანი, ვინც-კი ყალბი ფულის მოჭრაში ერივნენ. კანონი ამბობს, თუ ვინმე გატყდება და გასცემს ყალბი ფულის მჭრელებსა, იმას დანაშაულობა ეპატიება და აღარ დაისჯებაო. აი სწორედ ამ მიზეზის გამო გასპარ ოჰანეზოვმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო ბოქაულს სვიმონოვს. ახლა საჭირო იყო საქმის გაჩხრეკა და გამოკვლევა. ამასაც მალე შეუდგნენ. რა აღმოსჩნდა?

ყალბის ფულის საჭრელ ადგილად თურმე ჯიგრაშენის ეკკლესიის გალავანი ამოერჩიათ. სომხების ჯიგრაშენის ეკლესია, როგორც მოგეხსენებათ, შუა ბაზარშია მარჯვნივ მხარეს და რამდენიმე სადგომი სახლი აქვს. ერთი ოთახი ფარულ ქარხანათ გარდაექციათ, სადაც ყიზილბაში ჰაჯი მირზა ჰუსეინ მირზა შაფი ოღლი სჭრიდა ყალბს ფულსა. ეს ჰაჯი-მირზა 1885 წელს მოსულა სპარსეთიდამ და სადაც ჯერ არს გამოუცხადებია მე და ჩემს ცოლს ბალახანუმას გვსურს სომხურს წესსზედ ქრისტიანობა მივიღოთ და გვიპატრონეთო. ჯიგრაშენის ეკკლესიის გალავანში ამ ცოლ-ქმრისთვის ერთი ოთახი მიეცათ და დროებით დაებინავებინათ. რასაკვირველია, ცალკე ქაღალდიც გაეგზავნათ ეჩმიაძინში კათალიკოზთან და ნება რთვას მოელოდნენ ორს „ურწმუნოს“ მიეღო სომეხთა სარწმუნოება. ჰაჯი-მირზას-კი სხვა აზრი ჰქონია, არხეინად თურმე სცხოვრებდა ეკკლესიის სახლში და ძალას და ღონეს არ ზოგავდა ბლომად მოეჭრა ყალბი ფული და გაესაღებინა.

ჰაჯი-მირზა უსწავლელი ყოფილა და მეტალურგია და ქიმია არ სცოდნია. ამიტომ ყალბს ფულსაც ისე ვერ აკეთებდა, როგორც უნდოდა. მაგრამ მაშველი მალე გასჩენია და საქმეც მეცნიერულად მოუწყვიათ. აი როგორ. იმ ხანებში სტამბოლიდამ მოსულა ტფილისს ახალგაზდა სომეხი ოჰანეზ ავეტოვი და ჯიგრაშენის ეკკლესიაში დიაკვნად გამწესებულა. ეს დიაკვანიც ეკკლესიის გალავანში სცხოვრებდა და, რასაკვირველია, მალე გაიცნო ჰაჯი-მირზა და იმისი ცოლი. ხელობაც მალე შეუტყო და გაუამხანაგდა. ახლა-კი საჭირო იყო უფრო კარგად მოეწყოთ ყალბი ფულის მოჭრა, რადგან ოჰანეზ ავეტოვის წყალობითა და მეოხებით ფულის გასაღება უნდა გაძლიერებულიყო. ტფილისში ავეტოვს ორი ნაცნობი ამოუჩნდა, ორივე სტამბოლელი—მარკოზ და მარკარ ბიქიშკიანი. მარკოზს ხაუცხოვოდ სცოდნია ყალბი ფულის მოჭრა ელექტრონის შემწეობით და აგრეთვე შეუგნია, თუ რამდენად გამოსადეგია ამ საქმისათვის ქიმია. სახლის გაჩხრეკის დროს უპოვეს კიდეც რვეული, სადაც სხვა-და-სხვა ცნობები იყო ფულის მოჭრის შესახებ. გარდა ამისა, აღმოუჩინეს ქიმიის სახელმძღვანელო „Основныя начала химіи“, სომეხი ევგოლიანის თხზულება. რასაკვირველია, როცა საქმე მეცნიერებაზედ მიდარდება, თითონ საქმე კარგად უნდა წავიდეს. კარგადაც წავიდა, მაგრამ ჰაჯი მირზას გულმა რაღაცა უგრძნო და ტფილისიდამ ამიერ-კასპის მხარეში წავიდა, ქ. ასხაბადს. იქ დაიწყო თავისი ხელობა, მაგრამ მალე შეუტყეს და დაიჭირეს. ტფილისში ბურთი და მოედანი ოჰანეზ ავეტოვს და იმის ამხანაგებს დარჩათ. ავეტოვმა მალე გაიცნო აველბრის სუბ გიორგის მღვდელი მანდაკუნი. ამ მანდაკუნს ბრალდებოდა, სხვათა შორის, ისიც, რომ ერთი ვიღაც სჯექო კაცი, ნაზარეთ ურმულიანცი იმასთან მდგარა და ფულს სჭრიდაო. სულ პირველად-კი თურმე ავეტოვმა ასწავლა მამა მანდაკუნს ფულის მოჭრა. არც ჯიგრაშენის ეკკლესიის მთავარი დიონისე გამაზოვი გადურჩა ოქროსა და ვერცხლის მიმზიდველს ძალას. მართალია, ყალბი ფულის მოჭრა არ ბრალდებოდა, მაგრამ იმას კი ბრალად სდებდნენ, რომ შენ ყველაფერი იცოდი და ბოროტ-მოქმედება არ გაამხილეო.

ოჰანეზ ავეტოვი და იმისი ამხანაგები ტფილისს აღარ დასჯერდნენ, ან თუ შეეშინდათ—არ გაგვიგონო და ნახჩევნისაკენ გაემგზავრნენ. ნახჩევანის ახლო ერთი სოფელია, სახელად იარიმჯა, სადაც მღვდლად ყოფილა სარქის ორბელიანცი, დიაღ დიდის გვარის კაცი, რომელსაც მალე გაუცვნია ყალბი ფულის მჭრელები. ისინიც წასულან სოფ. იარიმჯაში, რამდენიმე დღე დარჩენილან და მამა სარქის ორბელიანცისთვის უსწავლებიათ თავიანთი ხელობა. მერე ავეტოვს მიუყიდნია მანქანა და მღვდელიც შესდგომია ახალს საქმეს. აღმოჩნდა, რომ ორბელიანცს თავდაპირველად ჯეროვნად ვერ მიუღია ახალი საქმე და სწავლა, ასე რომ ავეტოვი ტფილისიდამ წერილს სწერდა ხოლმე—ასე და ამ გვარად უნდა შეაზავო ლითონები, დნობის დროს კომლი არ უნდა გააქრო და სხვაო... როცა გასპარ ოჰანეზოვმა გასცა ყალბი ფულის მჭრელები, ბოქაული სვიმონოვი სოფ. იარიმჯაში გაეშურა და იქ მღვდელს ორბელიანცს უპოვა ფულის მოსაჭრელი მანქანა და მასალა.

ერთსა და იმავე დროს ტფილისი მოდებული ყოფილა ყალბი ფულის მჭრელებით. არტემ ბექანოვს და სუმბათ ბუდაღიანცს, მაგალითებრ აბრალებდნენ მანქანა გქონიათ და ყალბი აბაზიანები გიჭრიათო. გარდა ამისა, როგორც ზემოდ ვუჩვენეთ, ვიღაცა ნაზარეთ ურმულიანცი, მღვდლის მანდაკუნის ნაცნობი, ცალკე თურმე სჭრიდა ფულს. საკუთარი „ქარხანა“ გაემართათ ეგრეთვე კუკიაში. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა უბანს თავისი მანქანა ჰქონია და ამ მანქანაზე იჭრებოდა ან ოქროსა და ვერცხლის მეჯიდიე, თუ არა და ჩვენებური აბაზი.

ბრალდებითი ოქმიდამ სჩანდა, რომ ყველა საკუთარს ანგარიშს არ მისდევდა, როცა ამ საქმისათვის მოუკიდია ხელი. მაგალითებრ, მღ. მანდაკუნს უთქვამს თურმე, რომ ყალბი ფული საჭიროა სომხეთის აღსადგენადაო... მარკოზ ბქიშკიანს უპოვეს ქაღალდი, სადაც სწერია „ქეიფზედ“ და ეს „ქეიფი“ კიდევ სამშობლოს განთავისუფლებას თურმე ნიშნავდა... მაგრამ ეს გარემოება გამოურკვეველი დარჩა და მხოლოდ ისღა დამტკიცდა, რომ ბილწმა ხელმა ჩირქი მოსცხო ჯიგრაშენის ეკკლესიის ზოგიერთა მსახურთა და თვით ფულის მოჭრა ამ სადგურში დაიწყო და აქ აღორძინდა.

ცამეტს კაცში სამართალმა მხოლოდ ცხრა იცნო დამნაშავედ, ყველას კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა სხვა-და სხვა ვადით და მათ შორის მღ. სარქის ორბელიანცს ოთხი წლობით. მღ. მანდაკუნი, მთავარი გამაზოვი და ორი კიდევ სხვა გაამართლეს. განაჩენის წაკითხვას ძლიერ დიდი საზოგადოება დაესწრო, თუმცა შუაღამე გადასული იყო. სულის განაბვით მოისმინა საზოგადოებამ განაჩენი და ღრმა სიჩუმე ცხადად ღაღადებდა, რომ სასამართლოს მსჯავრს ყველანი გულის ძგერით მოელოდნენ.

11 თებერვალი

---

### კრება სამეურნეო საზოგადოებისა

9 თებერვალს.

პირველად საზოგადოების სეკრეტარმა წაიკითხა ანგარიში წინანდელი კრებისა, რომელსაც დაუდგენია სთხოვოს მთავრობას შემწეობა ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ბაღოსნობას, ხეხილის რგვა ხარებას და უფრო მომეტებულად ვენახის მოვლა-მოშენებას, ვიდრე ყვავილებს, როგორც ეხლაა ამ სკოლაშიო.

შემდეგ ბ. ნმა გვესკიმ წაიკითხა ფრიად საინტერესო რეფერატი ფილოქსერას გავრცელების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში. ბ-ნს გვესკის მის თანაშემწეთურთ შარშან გამოეკვლია იქაური ვენახები და ბაღები. დღემდის გაშინჯულა 950 ვენახი სამოცდა ათ სოფელში და თუთხმეტში ფილოქსერა ნამდვილად აღმოჩენილა.

თუთხმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთს ვაჭარს შემოუტანია ტფილისს უცხოეთიდამ ვაზი და იმ ვაზს თან მოჰყოლია ფილოქსერაც. შემდეგ ქუთაისში ტაიგელის ბაღში გაუჩენია ვენახს. შეიძლება ტაიგელმა იმ ვაჭრისაგან იყიდა ის ფილოქსერიანი ვაზი. ტაიგელს, თუმცა ბაღი უფუჭდებოდა, მაგრამ მაინც არ ამხელდა, სანამ ალისუბნელმა მემამულემ ბ-ნმა ჩიკვაიძემ შემთხვევით არ გამოამჟღავნა ყოველივე. ჩიკვაიძეს უთხოვნია რეფერენტისათვის, რომ მილდიუს მოსპობა მასწავლეო. მისულა თუ არა რეფერენტი ჩიკვაიძის მამულში, იმისი ყურადღება მიუქცევია უფრო ერთს გაფუჭებულს ვენახს. იმ ვენახების გაფუჭების ნიშნები სულ სხვა რიგი თურმე იყო. ვაზის შუა-გულს ამოსული ძველი ყლორტები მთლად გამხმარიყო და ახლა ამოსულები ჯერ კიდევ არ დაზარალებულიყო. ასეთი თვალით დასანახი ნიშანი აქვს თურმე ფილოქსერასაც. მერე ვენახის მიწა გადუთხრიათ და დაუთვალიერებიათ: ვაზის ფესვის პატარა ბეწვები გასიევებული და გაყვითლებული ყოფილიყო. ლუპით დააცქერდნენ და შეამჩნიეს პატარა მწერი; გასინჯეს ეს პატარა მწერი მიკროსკოპით და ყოველ ეჭვს გარეშე ფილოქსერა-კი გამოდგა.

ჩიკვაიძეს ფილოქსერა შემოუტანია თავის სოფელში ტაიგელის ბაღიდგან და ამ სახით ქუთაისი და უმეტესად კიდევ ალისუბანი შექმნა ფილოქსერის ბუდედ. ამ ბუდიდამ გავრცელდა ყველაზე უფრო მომეტებულად ქუთაისისა და შორაპნის მაზრაში ე. ი. იქ, სადაც უფრო უხვად მოდის ღვინო, ვიდრე სხვაგან სადმე იმერეთში. საბედნიეროდ, ყვირილის სამხრეთად, სადაც ყველაზე უკეთესი ღვინოები იცის, ჯერ არ აღმოჩენილა ფილოქსერა. საზოგადოდ სამხრეთად სოფელს ზვარეთს იქით არ აღმოუჩენიათ ჯერ ფილოქსერა, და ჩრდილოეთად კიდევ—ს. სკანდეს ზევით არსად სჩანსო. სკანდესა და ზვარეთს შორის იქნება 8-9 ვერსტი. აღმოსავლეთით უკანასკნელი ფილოქსერიანი სოფელი პერევისაა (ქვიათურას ახლოს), დასავლეთით. მანთხოჯი,—სამეგრელოს საზღვრამდე. ამ ორ უკანასკნელ სოფლებს შორის 80 ვერსტია. ფილოქსერა უფრო მოდებულია იქ, სადაც პირველში დაუბუდნია ამ სენს, ესე იგი შორაპნისა და ქუთაისის მაზრის შუაგულ ადგილას. ამ ბუდის, მეზობლებით ოთხ-კუთხივ თან-და-თან უფრო მცირედ და ნაკლებად არის გავრცელებული. ხოლო, როგორც ზემოთა ვთქვით, დასავლეთიდამ აღმოსავლეთისკენ უფრო დიდ მანძილზეა გავრცელებული, ვიდრე ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ.

ფილოქსერა გადააქვს ერთი სოფლიდამ მეორეში ხამუშაო იარაღებსა და ავეჯს, ვაზის რქას, ხეხილსა და მწვანილს, რომელიც ფილოქსერიან ვენახში გაზრდილა, და რეფერენტის აზრით, ქარსაც შეუძლია გადიტანოს ფილოქსერა ერთის ადგილიდამ მეორეში.

შარშანდელმა საფილოქსერო კრებამ გარდასწყვიტაო, სთქვა რეფერენტმა, ვსთხოვოთ მთავრობას, რომ განაპირა სოფლებში სადაც ფილოქსერა აღმოჩნდა, სრულიად მოისპოს ვენახები და პატრონებს შესაფერი ჯილდო მიეცესო. ამ ღონით შესაძლოა მოვუსპოთ ფილოქსერას გზა გავრცელებისა სხვა სოფლებში, მაგრამ ჯერ კიდევ გადაწყვეტით არ ვიცით, სადამდე, რა მიჯნებამდე მიუღწევია დღეს ამ სენსაო. ამიტომ სამერმისოდაც საჭირო იქმნება დაწვრილებით გამოკვლეულ იქმნას იქაური ახლო-მახლო ვენახები. თუ სავაისოდ ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ფილოქსერა იმ ადგილებს იქითაც არის გავრცელებული, სადაც ახლა ნაჩვენებია, მაშინ ამ გვარათ ღონეს ფილოქსერასთან შებრძოლებისას თავი უნდა დავანებოთ და სხვა ღონის ძიებას მივმართოთო.

შემდეგ ამისა რეფერენტმა მოკლედ აუწყა კრებას, რა ღონის-ძიება სცადეს საფრანგეთში ფილოქსერის გასაწყობად. უპირველესი ღონის-ძიება ამერიკის ვაზების გაშენებაა. ეს ვაზი უფრო ხარობს ქვიშნარში და ფილოქსერასთან ბრძოლა საფრანგეთში იქ უფრო ადვილი აღმოჩნდა სადაც ქვიშნარები იყო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფილოქსერა ქვიშნარს უფრო ნაკლებად აზარალებს, ვიდრე კირ-ნარევს და თიხნარს და თუ ქვიშნარი ძალიან ნაკვთებია და ფუხფერი, სულაც ვერაფერს აკლებს.*) რადგანაც ამერიკის

*) საუბედუროდ კავკასიაში თითქმის არც-კი ყოფილა ასეთი ადგილები.

ვაზის ღვინო ნაკლების ღირსებისაა, ამიტომ საფრანგეთის ვაზის ყლორტებს ამყნობენ. ამით ვაზი ფილოქსერასაც აღარ იკარებს და ღვინოსაც კარგს იძლევა.

მაგრამ კირ-ნარევსა და ქვიშნარს ადგილებში იქ მხოლოდ ზოგიერთმა ამერიკულ ჯიშის ვაზმა ივარგა და ამ ჯიშის ვაზები საუბედუროდ საფრანგეთის ვაზის ყლორტებს არ იკარებდნენ; ნამყენი არ მიითვისეს. ამიტომ გონიერმა ფრანგებმა ერთი ხერხი მოიგონეს. ფრანგულის ვაზის მამა თესლი გადაიტანეს და დააყარეს ამერიკის ვაზის მდედრს თესლს, ანუ კვერცხს. აქედგან წარმოსდგა შერეული თესლი, რომელიც დედით ამერიკულ ვაზის შთამომავალი იყო და მამით — ფრანგულისა. ამ გვარი თესლი რომ დათესო, იმ ნაირის თვისების ვაზი იხარებს, რომ ფილოქსერასაც გაუძლებს და ფრანგულ ვაზების ყლორტებსაც ადვილად შეითვისებს მყნობით. ამ ორ-ბუნებოვან ვაზებს გიბრიდებს ეძახიან. რა-კი ერთ-ორ გიბრიდს ახარებ, შემდეგ იმათის რქით ადვილად და იაფად შეიძლება ვენახის გაშენება.

მეორე საშუალება ის არის, რომ წყალში გახსნილ გოგირდის ნახშირმჟავას (сѣрнистый углеродъ) მიუსხმენ ვაზს ძირში და სწამლავენ ფილოქსერას. ამ გვარი წამლობაც კიდევ ფხვიერ, ქვიშნარ მიწაში უფრო ადვილია, ვიდრე თიხნარს და კირ-ნარევში, რადგანაც თუ მიწა თიხნარია, ან კირ-ნარევი, წამალი ძნელად თუ ჩააწევს ფესვებამდე და ვენახის წამლობის ხარჯს შემოსავალი ვერ აუვა. მესამე საშუალება დარწყობაა ფილოქსერისა და მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ვაკე ადგილებია და ახლოს დიდი წყალი მოდის.

ქუთაისის გუბერნიაში რეფერენტის სიტყვით, იქ, სადაც ფილოქსერაა, თიხნარი და კირნარევი მიწა არის და გარდა ამისა ღვინოც ნაკლები მოდის. ვენახები ფერდობებზეა გაშენებული და იმათი მორწყვა ყოვლად შეუძლებელიაო. ამიტომ იქ მხოლოდ ამერიკულისა და აქაურის ვაზების გიბრიდებით შეიძლება ვენახების ხელახლად გაშენებაო.

ყვირილის სამხრეთად, სადაც მიწაში ცოტა თიხა ურევია და ღვინოც უკეთესი მოდის, უფრო შესაძლებელია პირდაპირ გადმორგვა ამერიკულის ვაზებისა და ზედ აქაურის ვაზის მყნობაო. გარდა ამისა აქ წამლობაც უფრო იაფი დაჯდება და ღვინის სიკეთე ადვილად აიტანს ყოველ-ნაირს ხარჯსაო. ამიტომ საჭიროა ჯერ-ჯერობით ქუთაისში მაინც გაიმართოს სტანცია, სადაც უნდა ასწავლიდნენ მემამულეებს ამერიკულის ვაზის გაშენებას, ზედ ჩვენებური ვაზის ყლორტების მყნობას, და გარდა ამისა უნდა აკეთებდნენ გიბრიდებს იმ ადგილებისთვის, სადაც ეხლა ფილოქსერაა გავრცელებული და სადაც ადგილის ვითარების გამო ბრძოლა უფრო საძნელოაო.

ქუთაისის დასავლეთად ყველაზე უფრო იაფი და მოსახერხებელი ღონე იქნება წყალი მიუგდონ ვენახში ცხენის წყლიდან და ამოახრჩონ ფილოქსერაო.

---

# დეპეშა

12 თებერვალი

პეტერბურგი. 4 პროცენტიანის რუსეთის სესხის მე-2 გამოცემის ხელისმოწერა ოქროს ფულით მეტად კარგად წავიდა. მაგალითი არ ყოფილა, რომ რუსეთის სესხის ხელის მოწერა ასე კარგად წასულიყო. 5%-ანი ობლიგაციები ინგლის-ჰოლანდიის სესხისა და ბილეთები მე-6 ე 5%-იანის სესხისა წარმოდგენილი იყო გამოსაცვლელად სულ 280 მილიონის ფრანკისა; ამას გარდა 200,000 კაცმა ხელი მოაწერა ნაღდ-ფულად 3 მილიარდისა და 125 მილიონის ფრანკის ობლიგაციებზე. ხელის-მომწერთ შეეძლებათ მიიღონ მხოლოდ 160,000 ობლიგაცია 80 მილიონის ფრანკისა, რომელიც დარჩება ზემოხსენებულ ობლიგაციებისა და ბილეთების გამოცვლის შემდეგ. ამ სახით, განაწილების უკან, თითო ხელის-მომწერს, თითო ობლიგაციაც აღარ შეხვდება წილში.

დღეს საგანგებო მატარებლით წავიდნენ სამზღვარ-გარედ ჰერცოგი და ჰერცოგინია ედინბურგისა, რომელნიც ვოგზალამდე გააცილა ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცამ, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდთა მთავართა.

ლონდონი. (რეიტერის სააგენტო) სოფიიდამ მოვიდა ამბავი, რომ რუსეთს არ მისცემია ჯერ კიდევ ხარჯი ბოლგარიის ოკუპაციისა; ეს ხარჯი თითქმის 3,600,000 მანათამდეა. უკანასკნელად შეიტანა ბოლგრიამ ამ ხარჯის ერთი წილი 1885 წ. ამას გარდა რუსეთი სთხოვს ბოლგარიას 572,988 მან. ზარბაზნებისა და ყუმბარებისათვის. „Times“-ს აუწყებენ ვენიდამ, ვითომ ლენდერბანკი აძლევს ბოლგარიას რუსეთის გასასტუმრებლად 15 მილიონ ფრანკს სესხადაო.

პეშტი. ბიუჯეტის გამო ატეხილს კამათობის დროს, მოწინააღმდეგეთა დასი მიჰყვება მთავარ-მინისტრ ტისას. ტისას პასუხის მძლევა დაუწყვია; პალატაში დაცინვით დაიწყეს ძახილი: „hoch“-ს ამას თან მოჰყვა: ყვირილი: „გაგვშორდით; ჩვენ გადვიხდით შენის წასვლის ხარჯს! ტისა უნდა მოგვშორდეს, გაგვეცალოს“. ალიაქოთმა იმდენს ხანს გასტანა, ვიდრე ტისა არ გავიდა პალატიდამ.

13 თებერვალი

პეტერბურგი. რუსეთის საელჩო რომისა უარ-ჰყოფს, რომ ვითომ იტალიაში ხოლერა გაჩენილიყოს. მხოლოდ ერთი კაცი გახდა ავად ხოლერით ბოლონიაშიო.

სოფია. მთავრობამ ნება დართო ბოლგარიის საერო ბანკს დაუყოვნებლივ გადიხადე რუსეთის ოკუპაციის ჩვენზე დარჩენილი ხარჯი, ესე იგი 3,600,000 ფრანკიო. მთავრობა გადიხდის აგრეთვე ზარბაზნებისა და სხვა იარაღის ხარჯს ანგარიშების შემოწმების შემდეგაო.

პარიჟი. ჰერცოგი ორლეანისა გაგზავნილ იქმნა კლერმს.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 146 1/4 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 240 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | 229 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 218 3/4 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

14 დღე ოთხშაბათი. ქართველი ღირსისა მამისა ავქსენტისა. კათოლ. წმ. ვალენტინა და ვიტალისა, დიდი მარხვისა დაწყება. სომეხ. მირქმა ქრისტესი ტიარნინ დარაჯი, 3 დღე დიდ მარხვისა. მზე ამოდის 6—40, ჩადის 5—47, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. მთვარე 6 დღისაა.

15 დღე ხუთშაბათი. ქართველი წმინდისა მოციქულისა ონისიმესი. კათოლ. წმ. ფაუსტინა იოვიტისა, ვალდემარისა. სომეხ. 4 დღე დიდ მარხვისა. მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—48. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13, მთვარე 7 დღისაა.

16 დღე პარასკევი. ქართველი წმ. მოწამისა პამფილესი და სხვათა. კათოლ. წმ. იულიანი და ლეოკადისა. სომეხ. 5 დღე დიდ-მარხვისა. უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე 1801 წ. მზე ამოდის 6—37, ჩადის 5—49. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. მთვარე 8 დღისაა.

17 დღე შაბათი, ქართველი წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. კათოლ. წმ. დონატისა და თეოდულასი. სომეხ. 9 დღე დიდმარხვისა.—წმ. თეოდორესი მხედრობისა. მზე ამოდის 6—35. ჩადის 5—50, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველი წმიდათა შორის მამისა ლეონ, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. სამსონისა, მაქსიმესი დი კონსტანციისა. სომეხ. წმ. კონსტანტინეპოლში მომწყვდართა, 7 დღე დიდმარხვისა. საქართველოში შემოიღეს ახალი წესდებულება სასამართლოსი 1868.; გაიხსნა ამავე წელს თბილისში საქალაქო საავათმყოფო. მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართველი წმიდისა მოციქულისა არხიპისა. კათოლ. წმ. კონრადისა გობინისა და გოდფრიდასი. სომეხ. 8 დღე დიდმარხვისა. გრ. ზუბოვი დანიშნეს მხედრობის მთავარ სარდლად აღა-მაჰმადხნის წინააღმდეგ 1796 წ. ბატონ ყმობის განთავისუფლება აფხაზეთში 1871 წ. მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. ჭეშმარიტი შუა დღე 12—12, მთვარე 11 დღისაა.

---


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

# საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ. გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საექიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებაღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქლის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, მეიცავს შემდეგს წერილებს: ღვინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.